

კლუბის დასახელება: „დებატ კლუბი“

კლუბის თავმჯდომარე: ივანე ელიკაშვილი

კლუბის თანათავმჯდომარეები:

ლიზი არქანია (კომაროვის სკოლის მოსწავლე)

ნია დვალაძე ((კომაროვის სკოლის მოსწავლე)

მარიამ ცეციტიშვილი (კომაროვის სკოლის მოსწავლე)

ანდრონ ოსიპოვი (კომაროვის სკოლის მოსწავლე)

ირაკლი ხარიტონიშვილი (კომაროვის სკოლის მოსწავლე)

კლუბის მიზნები:

დებატების კლუბი მიზნად ისახავს მოსწავლეებს დაეხმაროს შემდეგი სახის უნარ-ჩვევების განვითარებაში:

- ეფექტური კომუნიკაცია,
- კრიტიკული აზროვნება,
- აქტიური მოსმენა,
- არგუმენტირებული მსჯელობა,
- მიღებული თეორიული ცოდნის საჭიროების შესაბამისად გამოყენება;
- ახალი ცოდნის ძველთა დაკავშირება,
- სამეტყველო ენის ეფექტურად გამოყენება,
- საჭირო ინფორმაციის მოძიება-დამუშავება,
- შემეცნების პროცესის ეფექტურად დაგეგმვა-ორგანიზება
- ისტორიული ფაქტების, მოვლენების და პროცესების სისტემური გააზრება,
- ადეკვატური თვითშეფასება.

კლუბის ფუნქციები:

ა) დებატების ტექნიკათა შესწავლა;

ბ) სადებატო თემატიკის შერჩევა და მათ შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიება-დამუშავება;

გ) დებატების გამართვა სხვადასხვა ფორმატით;

დ) დებატების ჩეპიონატების ორგანიზება;

ე) კლუბის მიზნებთან შესაბამისი სხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

კლუბის წევრობა:

1. კლუბი შედგება თავმჯდომარისგან, თანათავმჯდომარეებისგან და წევრებისგან;
2. კლუბის საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ თავმჯდომარე და თანათავმჯდომარეები, კლუბის წევრებთან შეთანხმებით;
3. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც დააკმაყოფილებს წევრობის კრიტერიუმებს. კლუბის წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმებს განსაზღვრავენ კლუბის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარეები ურთიერთშეთანხმებით;
4. კლუბის თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს კლუბის საქმიანობაში;
5. კლუბის წევრების მიღების გადაწყვეტილებას იღებს თავმჯდომარე თანათავმჯდომარეებთან შეთანხმებით;
6. კლუბის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარეებთან და წევრებთან შეთანხმებით გეგმავს კლუბის აქტივობებს, მონაწილეობს აკადემიური პროგრამის შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის გაწერაში, უშუალოდ მონაწილეობს ღონისძიებების ჩატარებასა და გაძლოლაში, ეწევა კლუბის საქმიანობის პოპულარიზაციას;
7. კლუბის წევრობის შეწყვეტა ხდება, თუ მოსწავლე ჩაიდენს კლუბის წევრისთვის შეუფერებელ საქციელს, შეუწყდება სკოლის მოსწავლის სტატუსი ან ჩაიდენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარეებთან შეთანხმებით.